ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3709085

ნომერი: AR1558184

თარიღი : 15.11.2017

გაცემის თარიღი : 30.11.2017

გაცნობის თარიღი : 04.12.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი ნატროშვილი პ/ნ 01030010063
- თბილისი, რამაზის ქ. N 8ა

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი #AR1558184 ელექტრონული განაცხადი, რომლითაც ეწინააღმდეგებით ქ. თბილისში, სოფელ დიღომში, #01.72.14.035.038 საკადასტრო ერთეულით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ქალაქმშენებლობითი პარამეტრების გაზრდას და მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობას.
პასუხად გაცნობებთ, რომ 2014 წლის 21 მარტის #1159880 გადაწყვეტილებით ქალაქ თბილისში , სოფელ დიღომში

#01.72.14.035.038 საკადასტრო ერთეულზე დადგინდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის.
2017 წლის 21 ივნისის #3310817 ბრძანებით ქ. თბილისში, სოფელი დიღომი, თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ #01.72.14.035.038) შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი.
2017 წლის 31 ოქტომბრის #3649560 გადაწყვეტილებით ქ. თბილისი, სოფელი დიღომი, თანასაკუთრების მიწის ნაკვეთზე (საკად. კოდი #01.72.14.035.038) შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი. 2017 წლის 24 ნოემბრის #3698292 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა და გაცემულად ჩაითვალა მშენებლობის სანებართვო მოწმობა.
2017 წლის 28 ნოემბრის #3705615 ბრძანებით შეტანილ იქნა ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 31 ოქტომბრის #3649560 ბრძანების ტექნიკურ - ეკონომიკურ მაჩვენებლებში, კერძოდ: საცხოვრებელ ფართობად დაფიქსირდა 1753.8 კვ.მ; ავტოსადგომის ფართობად დაფიქსირდა 395.7 კვ.მ; დამხმარე ფართობად დაფიქსირდა 2.6 კვ.მ; კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად დაფიქსირდა 234.4 კვ.მ; საერთო ფართობად დაფიქსირდა 2495.6 კვ.მ. 2. ჩანაცვლდა 2017 წლის 31 ოქტომბრის #3649560 ბრძანებით შეთანხმებული -2.80, -0,00, +3.30, +6.60, +9.90, +13.20 ნიშნულების საპროექტო გეგმები 2017 წლის 16 ნოემბრის #AR1558486 განცხადებით წარმოდგენილი -2.80, -0,00, +3.30, +6.60, +9.90, +13.20 ნიშნულების საპროექტო გეგმებით.
2017 წლის 22 ნოემბერს #AR1559544 ელექტრონული განცხადებით სამსახურს მომართა მოქალაქე გოჩა გეთიაშვილმა და მოითხოვა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმება, რომლის საფუძველზე სამსახურში მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება.
თქვენი შეტყობინება სამსახურში მიღებულია ცნობის სახით და წარმოების ჩატარებისა და საჭიროების შემთხვევაში იქნებით ინფორმირებული.
სამსახურის მიერ ზემოაღნიშნული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები გაცემულ იქნა შესათანხმებლად წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. თუმცა, თუ თვლით, რომ აღნიშნული აქტები გაყენებთ პირდაპირ და უშუალო ზიანს ან/და დარღვეულია მათი გამოცემის წესი, შეგიძლიათ გაასაჩივროთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა #7), დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
თუ სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს სამსახურის მიერ შეთანხმებული პროექტის დარღვევით, სამშენებლო სამუშაოების შეთანხმებულ სამშენებლო დოკუმენტაციასთან შეუსაბამობის დადგენის მიზნით შეგიძლიათ მიმართოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.
დამატებით გაცნობებთ, აღნიშნული ობიექტის სამშენებლო განვითარებასთან დაკავშირებით თვალყურის დევნება შეგიძლიათ სამსახურის ვებ-გვერდის (www.tas.ge) მეშვეობით, ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ფენის ჩართვის და ძიებაში დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდის მითითების შემთხვევაში.